



**სამედიცინო დაწესებულებაში ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19)-ის შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისათვის საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და სხვა უსაფრთხოების ღონისძიებების რეკომენდაციები**

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) სწორად, თანმიმდევრულად და რაციონალურად გამოყენება ხელს უწყობს პათოგენული მიკროორგანიზმების გავრცელების შეკავებას. იდს-ს გამოყენების ეფექტურობა დამოკიდებულია მათ ადეკვატურ და რეგულარულ მიწოდებაზე, პერსონალის ადეკვატურ მომზადებაზე, ხელების ჰიგიენის სათანადოდ დაცვასა და პერსონალის სათანადო ქცევის ჩამოყალიბებაზე.

2019 წელს ჩინეთში გამოვლენილი ახალი კორონავირუსის (SARS-CoV-2) ფართო გავრცელებით განპირობებული პანდემია მძიმე ტვირთად იქცა ჯანდაცვის სისტემისათვის. ინფექციების გავრცელების კონტროლის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამედიცინო დაწესებულებებში ინფექციის კონტროლის სისტემის მართვებულად ფუნქციონირებას. აღნიშნული თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფექციების მიმართ სტანდარტული უსაფრთხოების ზომების გარდა წვეთოვანი, კონტაქტური და ზოგჯერ კი ჰაეროვანი გადაცემის გზებზე დაფუძნებული იზოლაციურ-შემზღუდავი ღონისძიებების დაცვა.

SARS-CoV-2 ვირუსის ბუნებიდან გამომდინარე, პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) მართვებულად გამოყენებას ენიჭება მნიშვნელოვანი როლი ინფექციის გავრცელების პრევენციისათვის. იდს ხელმისაწვდომობის შემცირების პირობებში, სამედიცინო დაწესებულებების ამოცანაა კრიზისული რეაგირების გეგმაში გაითვალისწინონ პერსონალის დაცვისათვის საჭირო მინიმალური მარაგების შექმნა COVID-19 შესაძლო და დადასტურებული პაციენტების მართვისათვის.

COVID-19 ინფექციასთან მიმართებაში რეკომენდაციები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) გამოყენებისა და უსაფრთხოების სათანადო ღონისძიებებისადმი დაწესებულების არეების, პერსონალისა და აქტივობის შესაბამისად მოცემულია №1 ცხრილში.

**ინდივიდუალური დაცვის საშუალებებისა (იდს) და უსაფრთხოების სათანადო ზომების რეკომენდაციები დაწესებულების არეების, პერსონალისა და აქტივობის შესაბამისადii COVID-19 ინფექციასთან მიმართებაში**

ცხრილი №1

არეები	მიზნობრივი პერსონალი ან პაციენტები	აქტივობა	იდს ტიპი
<b>სამედიცინო დაწესებულება</b>			
<b>სტაციონარები</b>			
პალატა	სამედიცინო პერსონალი (ექიმი, ექთანნი)	COVID-19 დადასტურებული ან შესაძლო შემთხვევის პაციენტის მოვლაში მონაწილე პერსონალი	<ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ნიღაბი</li> <li>ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>ხელთათმანები</li> </ul>

			<ul style="list-style-type: none"> <li>• თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი)</li> </ul>
		აეროზოლმაპროდუცირებელი მანიპულაცია	<ul style="list-style-type: none"> <li>• რესპირატორი N95</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი)</li> <li>• წინსაფარი</li> </ul>
	დამლაგებელი /სანიტარი	COVID-19 დადასტურებული ან შესაძლო შემთხვევის პაციენტის პალატის დასუფთავება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• სპეციალური/სქელი ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი)წყალგამძლე ან დახურული ფეხსაცმელი</li> </ul>
	ვიზიტორები <sup>iii</sup>	COVID-19 დადასტურებული ან შესაძლო შემთხვევის პაციენტის პალატაში შესვლა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• ხელთათმანები</li> </ul>
პაციენტის გადაადგილების ყველა არე (მაგ., დერეფანი)	ყველა თანამშრომელი სამედიცინო პერსონალის ჩათვლით	ყველა ქმედება, რომელიც არ უკავშირდება COVID-19 დადასტურებული ან შესაძლო შემთხვევის პაციენტთან კონტაქტს	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• იდს- სტანდარტული უსაფრთხოების ზომების და რისკის შეფასების შესაბამისად</li> </ul>
ტრიაჟის ადგილი	სამედიცინო პერსონალი	წინასწარი სკრინინგი არ მოიცავს პირდაპირ კონტაქტს <sup>iv</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მინიმუმ 1 მ-იანი დისტანტიციის შენარჩუნება</li> <li>• პაციენტს უკეთდება ქირურგიული ნიღაბი</li> </ul>
	რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტი	ნებისმიერი	<ul style="list-style-type: none"> <li>• მინიმუმ 1 მ-იანი დისტანტიციის შენარჩუნება</li> <li>• პაციენტს უკეთდება ქირურგიული ნიღაბი</li> </ul>
	რესპირატორული სიმპტომების არ მქონე პაციენტი	ნებისმიერი	იდს- სტანდარტული უსაფრთხოების ზომების და რისკის შეფასების შესაბამისად
ლაბორატორია	ლაბორანტები	რესპირატორულ ნიმუშებთან მუშაობა	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი ან რესპირატორი N95 ტესტირების ინსტრუქციის შესაბამისად</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> </ul>

			<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი ( თუ არის გაშხეფების რისკი)</li> </ul>
/ან ადმინისტრაციული არეები	ყველა თანამშრომელი სამედიცინო პერსონალის ჩათვლით	ადმინისტრაციული სამუშაო, რომელიც არ გულისხმობს კონტაქტს COVID-19 დადასტურებული ან შესაძლო შემთხვევის პაციენტთან	იდს არ არის საჭირო
<b>ამბულატორიული არე</b>			
საკონსულტაციო ოთახები/ექიმ-სპეციალისტების კაბინეტები	სამედიცინო პერსონალი	რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტის გასინჯვა <sup>ა</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი</li> </ul>
	სამედიცინო პერსონალი	რესპირატორული სიმპტომების არ მქონე პაციენტის გასინჯვა	იდს- სტანდარტული უსაფრთხოების ზომების და რისკის შეფასების შესაბამისად
	რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტი	ყველა	პაციენტს უკეთდება ქირურგიული ნიღაბი
	რესპირატორული სიმპტომების არ მქონე პაციენტი	ყველა	იდს- სტანდარტული უსაფრთხოების ზომების და რისკის შეფასების შესაბამისად
	დამლაგებელი/სანიტარი	რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტის გასინჯვათა შორის და შემდეგ დალაგება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• სპეციალური/სქელი ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (თუ არის ქიმიური ნივთ. გაშხეფების საფრთხე)</li> <li>• წყალგამძლე ან დახურული ფეხსაცმელი</li> </ul>
მოსაცდელი ოთახები/ სივრცეები	რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტები	ყველა	<ul style="list-style-type: none"> <li>• უკეთდება ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• დაუყოვნებლად ხდება პაციენტის გადაყვანა საიზოლაციო ოთახში/სივრცეში სხვა პირებისგან განცალკევებით</li> <li>• თუ პაციენტის იზოლირება არ არის შესაძლებელი, უზრუნველყავით</li> </ul>

			სივრცითი იზოლირება (მინიმუმ 1 მ დაშორება სხვა პაციენტებისაგან)
	რესპირატორ ული სიმპტომების არ მქონე პაციენტები	ყველა	იდს- სტანდარტული უსაფრთხოების ზომების და რისკის შეფასების შესაბამისად
ადმინისტრაციული არეები	ყველა პერსონალი სამედიცინო პერსონალის ჩათვლით	ადმინისტრაციული დავალებების შემსრულებელნი	იდს არ არის საჭირო
ტრიაჟი	სამედიცინო პერსონალი	წინასწარი სკრინინგი, რომელიც არ მოიცავს პირდაპირ კონტაქტს <sup>vi</sup>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მინიმუმ 1 მ-იანი დისტანტიციის შენარჩუნება</li> <li>• იდს არ არის საჭირო</li> </ul>
	რესპირატორ ული სიმპტომების მქონე პაციენტი	ყველა	<ul style="list-style-type: none"> <li>• მინიმუმ 1 მ-იანი დისტანტიციის შენარჩუნება</li> <li>• პაციენტს უკეთდება ქირურგიული ნიღაბი</li> </ul>
	რესპირატორ ული სიმპტომების არ მქონე პაციენტი	ყველა	იდს- სტანდარტული უსაფრთხოების ზომების და რისკის შეფასების შესაბამისად
<b>სასწრაფო სამედიცინო დახმარება, პრეჰოსპიტალური სამედიცინო დახმარება, პაციენტის ტრანსპორტირება</b>			
სამედიცინო პერსონალი, პარამედიკოსი, რომელსაც უშუალო შეხება აქვს პაციენტთან	COVID-19 დადასტურებული ან შესაძლო შემთხვევის პაციენტის ტრანსპორტირება		<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი)</li> </ul>
	ცხელებისა და რესპირატორული სიმპტომების მქონე პაციენტების ტრანსპორტირება		<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი)</li> </ul>
	მძიმე/კრიტიკული პაციენტების ადგილზე დახმარება/ ტრანსპორტირება		<ul style="list-style-type: none"> <li>• რესპირატორი N95</li> <li>• ერთჯერადი კომბინიზონი</li> <li>• ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი)</li> </ul>
მძღოლი	პაციენტის ტრანსპორტირებისას		<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ხელთათმანები</li> </ul>

		თუ არ აქვს არანაირი კონტაქტი პაციენტთან/პაციენტის სივრცესთან	
		პაციენტის ტრანსპორტირებისას თუ არსებობს პაციენტის სივრცესთან მისი კონტაქტის რისკი მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით	<ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ნიღაბი</li> <li>ხელთათმანები</li> <li>ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> </ul>
დამლაგებელი		ავტოსატრანსპორტო საშუალების დალაგება/დეზინფექცია პაციენტის ტრანსპორტირების შემდეგ	<ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ნიღაბი</li> <li>ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>სპეციალური/სქელი ხელთათმანები</li> <li>თვალის დამცავი (თუ არის შეშხეფების საფრთხე)</li> <li>წყალგამძლე ან დახურული ფეხსაცმელი</li> </ul>
<b>სხვადასხვა სივრცე</b>			
ადმინისტრაციული არეები	თანამშრომლები	ყველა	იდს არ არის საჭირო
სკრინინგის არეები	თანამშრომლები	პირველი სკრინინგი (ტემპერატურის გაზომვა) არ მოიცავს პირდაპირ კონტაქტს	<ul style="list-style-type: none"> <li>მინიმუმ 1 მ-იანი დისტანტიციის შენარჩუნება</li> </ul> <p>იდს- სტანდარტული</p> <ul style="list-style-type: none"> <li>უსაფრთხოების ზომების და რისკის შეფასების შესაბამისად</li> </ul>
	თანამშრომლები	მეორე სკრინინგი (ე.ი. მოგზაურობასთან დაკავშირებული ინტერვიუ, COVID-19-ის კლინიკური სიმპტომები მოგზაურობის ისტორიასთან ერთად	<ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ნიღაბი</li> <li>ხელთათმანები</li> </ul>
	დამლაგებლები	ცხელებიანი პაციენტების სკრინინგის არეების დასუფთავებისას	<ul style="list-style-type: none"> <li>ქირურგიული ნიღაბი</li> <li>ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>სპეციალური/სქელი ხელთათმანები</li> <li>თვალის დამცავი (თუ არის ქიმიური ნივთ. გაშხეფების საფრთხე)</li> <li>წყალგამძლე ან დახურული ფეხსაცმელი</li> </ul>
დროებითი იზოლაციის ადგილი	თანამშრომლები	იზოლაციის არეალში შესვლა, მაგრამ არა პირდაპირი დახმარების გაწევა	<ul style="list-style-type: none"> <li>მინიმუმ 1 მ-იანი დისტანციის დაცვა</li> <li>ქირურგიული ნიღაბი</li> </ul>

			<ul style="list-style-type: none"> <li>• ხელთათმანები</li> </ul>
	თანამშრომლები, სამედიცინო პერსონალი	პაციენტის სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანაში დახმარება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი</li> </ul>
	დამლაგებლები	საოზოლაციო არის დალაგება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• სპეციალური/სქელი ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (თუ არის ქიმიური ნივთ. გაშხეფების საფრთხე)</li> <li>• წყალგამძლე ან დახურული ფეხსაცმელი</li> </ul>
	დამლაგებლები	COVID-19 ზე ექვმიტანილი პაციენტის ტრანპორტირებისას რეფერალურ სამედიცინო დაწესებულებაში შემდგომ ან შუალედებში დასუფთავება	<ul style="list-style-type: none"> <li>• ქირურგიული ნიღაბი</li> <li>• ერთჯერადი ქირურგიული ხალათი</li> <li>• სპეციალური/სქელი ხელთათმანები</li> <li>• თვალის დამცავი (თუ არის ქიმიური ნივთ. გაშხეფების საფრთხე)</li> <li>• წყალგამძლე ან დახურული ფეხსაცმელი</li> </ul>

## იდს კონტაქტური, წვეთოვანი და ჰაერის გზით გადაცემის პრევენციისათვის

SARS-CoV-2 ვირუსით ინფიცირებული პაციენტების მოსალოდნელი მატების გამო, ჯანმრთელობის დაცვის სექტორის დაწესებულებები მოსამზადებელ ეტაპზე განსაზღვრავენ სამედიცინო პერსონალისათვის საჭირო იდს-ის მარაგს.

SARS-CoV-2 ვირუსის გადაცემის გზების გათვალისწინებით, შემოთავაზებულია იდს-ის ნაკრების მინიმალური შემადგენლობა (ცხრილი №2). ნაკრებში შემავალი დაცვის საშუალებები უზრუნველყოფს კონტაქტური, წვეთოვანი და ჰაერის გზით გადაცემის პრევენციას.

### ცხრილი №2. იდს ნაკრების მინიმალური შემადგენლობა COVID-19 შესაძლო და დადასტურებული შემთხვევების მართვისთვის

დაცვა	რეკომენდებული იდს
რესპირატორული დაცვა	სამედიცინო (ქირურგიული) ნიღაბი, რესპირატორი <sup>1</sup>
თვალის დაცვა	ინდივიდუალური დაცვის სათვალე, სახის დამცავი ფარი <sup>2</sup>
სხეულის დაცვა	წყალგაუმტარი ქირურგიული ხალათი გრძელი სახელოებით, წინსაფარი <sup>3</sup> , კომბინიზონი <sup>4</sup>
ხელის დაცვა	ხელთათმანები

1. რესპირატორი გამოიყენება მხოლოდ კრიტიკულ პაციენტებთან აეროზოლიზაციის რისკის შემცველი პროცედურების დროს (ინტუბაცია, სასუნთქი გზების სანაცია, არაინვაზიური ვენტილაცია, ბრონქოსკოპია).
2. სახის დამცავი ფარის გამოყენება რეკომენდებულია ნიღაბთან, ან რესპირატორთან და სათვალესთან ერთად აეროზოლიზაციის რისკის მქონე პროცედურების დროს კრიტიკული პაციენტების შემთხვევაში (რესპირატორის დაბინძურების შესამცირებლად).
3. წინსაფარი რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ ხელმისაწვდომი არ არის წყალგაუმტარი ქირურგიული ხალათი. წინსაფარი კეთდება ჩვეულებრივ სახელოებიან ხალათზე ზემოდან.
4. კომბინიზონი - რეკომენდებულია მხოლოდ კრიტიკული პაციენტების მოვლის არეებში.

### რესპირატორული სისტემის დაცვა

რესპირატორული დაცვა გულისხმობს სასუნთქ სისტემაში წვეთებისა და ნაწილაკების მოხვედრის პრევენციას. წვეთოვანი და ჰაერის გზით გავრცელებული ინფექციების დროს რესპირატორული სისტემის დაცვის პრინციპი განსხვავებულია.

წვეთოვანი ინფექციების დროს ქირურგიული ნიღაბი უზრუნველყოფს შედარებითი მსხვილი წვეთების შეკავებას შესუნთქვის ფაზაში, ხოლო ჰაერის გზით გადამდები ინფექციების გავრცელებისას პათოგენი შეჭიდულია წვეთების შედარებით მცირე ნაწილაკებთან და რესპირატორულ ტრაქტში ხვდება მათი მეშვეობით. ასეთი წვეთების წარმოქმნა COVID-19 ინფექციის დროს ხდება აეროზოლიზაციის რისკის შემცველი პროცედურებისას. ამდენად, ასეთ დროს მიზანშეწონილია რესპირატორის (მაგ., N95) გამოყენება, როგორც ჰაეროვანი გადაცემის მექანიზმის ინფექციების შემთხვევაში.

### თვალის დაცვა

თვალის ლორწოვანის ვირუსით ექსპოზიციის თავიდან ასაცილებლად, რეკომენდებულია ინდივიდუალური დაცვის სათვალის ან სახის დამცავი ფარის გამოყენება. მნიშვნელოვანია, რომ სათვალე კარგად ერგებოდეს სახეს და თავსებადი იყოს რესპირატორთან.

### სხეულის დაცვა

საჭიროა გრძელსახელოებიანი, წყალმედვეგი ქირურგიული ხალათის გამოყენება. არ არის საჭირო, რომ იდს იყოს სტერილური, თუ არ სრულდება სტერილური პროცედურა (მაგ. ცენტრალური ვენის კათეტერიზაცია), ან არ გამოიყენება სტერილურ გარემოში (მაგ. საოპერაციო).

თუ წყალმედვეგი ქირურგიული ხალათი ხელმისაწვდომი არ არის, შეიძლება წყალგაუმტარი წინსაფარის (მაგ., მუშამბის, პოლიეთილენის) გამოყენება. ამის გათვალისწინებით, საჭირო იდს-ის კომპლექტების გამოსათვლელ ინსტრუმენტში ცალკე მითითებული არ არის წინსაფრების რაოდენობა- წყალმედვეგი ქირურგიული ხალათებისა და წინსაფრების ჯამური რაოდენობა შეესაბამება წყალმედვეგი ხალათების რაოდენობას.

## **ხელების დაცვა**

COVID-19 შესაძლო ან დადასტურებული შემთხვევების დროს, პაციენტის მოვლისას, ყოველთვის აუცილებელია ხელების დაცვისთვის ხელთათმანების გამოყენება. უპირატესობა ენიჭება ნიტრილის ხელთათმანებს;

## **ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) საჭიროების შეფასება - ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პირობებში**

ცალკეული პაციენტისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდებისას საჭირო იდს რაოდენობის გამოსათვლელი გზამკვლევი ეფუძნება შემდეგ დაშვებებს:

- დაავადების გამოვლენის სიმძიმის მიხედვით, პაციენტს ესაჭიროება სხვადასხვა დონის მომსახურება - მეტად გამოხატული მძიმე კლინიკური სიმპტომების შემთხვევაში საჭიროა მეტი კონტაქტი პაციენტთან;
- 24 საათის განმავლობაში სამედიცინო პერსონალი (ექთანი, ექთნის დამხმარე და დამლაგებელი) მუშაობს 3 ცვლად. რეალობის გათვალისწინებით, სამუშაო ცვლის ხანგრძლივობა შესაძლოა იცვლებოდეს, მაგრამ პაციენტის პალატაში შესვლის ჯამური რაოდენობა დარჩება იგივე;
- კრიტიკული პაციენტებისთვის გამოყოფილია პერსონალი, რომელიც ცვლის განმავლობაში მუშაობს მხოლოდ ამ კონტინგენტთან;
- მაქსიმალურად შეზღუდულია პერსონალის კონტაქტი პაციენტთან, აღნიშნული ხორციელდება მხოლოდ მკაფიოდ გამოხატული საჭიროების შემთხვევაში;
- პაციენტს უკეთია ქირურგიული ნიღაბი, რომელიც უზრუნველყოფს რესპირატორული ტრაქტიდან გაფრქვეული წვეთების შეკავებას;
- პაციენტის გადაადგილება/ტრანსპორტირება სამედიცინო დაწესებულების შიგნით და დაწესებულებიდან გარეთ (მაგ.: ლაბორატორიული, ან რადიოლოგიური კვლევებისათვის და ა.შ.) შემცირებულია მინიმუმამდე;
- სამედიცინო პერსონალი აცნობს/ ასწავლის პაციენტს ხველის ეტიკეტსა და რესპირატორული ჰიგიენის წესებს;
- კონტაქტური, წვეთოვანი და, საჭიროების დროს, ჰაეროვანი გადაცემის გზებზე დაფუძნებული უსაფრთხოების ზომები გამოიყენება SARS-CoV-2 ინფიცირებულ ყველა პაციენტთან.

## **იდს-ის საჭირო რაოდენობა დამოკიდებულია შესაძლო, სავარაუდო და დადასტურებული შემთხვევების რაოდენობაზე, პაციენტების სიმძიმესა და ჰოსპიტალიზაციის ხანგრძლივობაზე და პაციენტის მომსახურებაზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობაზე**

(იხ. ცხრილი №3). რომელშიც მოწოდებულია სხვადასხვა სცენარის შემთხვევისთვის საჭირო იდს-ის ნაკრების მინიმალური რაოდენობა. კერძოდ, მძიმე/კრიტიკულ პაციენტებს შესაძლოა დასჭირდეთ დამატებითი მანიპულაციები/პროცედურები (მაგ. ინტუბაცია, ცენტრალური სისხლძარღვის კათეტერიზაცია, რადიოლოგიური გამოკვლევა და ა.შ.). ასეთი შემთხვევებისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს დამატებით ორი ან სამი ნაკრები.



1. შესაძლო შემთხვევის შეფასებისას, თითოეულ შემთხვევას ესაჭიროება მინიმუმ 3-6 იდს ნაკრები, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 1-2 ნაკრები ექთნისთვის თითოეულ პაციენტზე;
- 1 ნაკრები ექიმისთვის თითოეულ პაციენტზე;
- 1 ნაკრები დამლაგებლისთვის თითოეულ პაციენტზე;
- 0-2 ნაკრები ექთნის დამხმარებისთვის თითოეულ პაციენტზე.

2. საიზოლაციო პალატაში/ბოქსში საშუალო სიმძიმის დადასტურებული თითოეული შემთხვევის მოვლისათვის საჭიროა 14-15 ნაკრები დღეში, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 6 ნაკრები ექთნისთვის 24 საათის განმავლობაში, თუ სამედიცინო პერსონალი მუშაობს 8 საათიანი ცვლით (3 ცვლა 24 საათის განმავლობაში), თითო ექთანი შედის ოთახში ცვლის განმავლობაში 2-ჯერ;
- 2-3 ნაკრები ექიმისთვის, თუ სამედიცინო პერსონალი მუშაობს 8 საათიანი ცვლით (3 ცვლა 24 საათის განმავლობაში), და ექიმი ცვლის განმავლობაში ერთხელ შედის ოთახში;
- 1-2 ნაკრები ექთნის ასისტენტისთვის, დაშვებით, რომ დამხმარე ცვლის განმავლობაში ოთახში შედის ერთხელ. ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია ექთნის დამხმარის შესვლა პალატაში საჭირო არ იყოს.

3. დადასტურებული მძიმე (და/ან კრიტიკული) თითოეული პაციენტის მოსავლელად საჭიროა მინიმუმ 15-24 ნაკრები დღეში, რომელიც ნაწილდება შემდეგნაირად:

- 6-12 ნაკრები ექთნისთვის, თითოეული ცვლის განმავლობაში 2-4 შესვლა პალატაში, რეანიმაციის/ინტენსიული მოვლის დარბაზში დაყოვნების მაქსიმალური ხანგრძლივობა - 4 საათი (შეხსენება: იგულისხმება 24 საათის განმავლობაში 3 ცვლა, თითო - 8 საათიანი);
- 3-6 ნაკრები ექიმისთვის, თითოეულ ცვლაში 1-2 შესვლა პალატაში პაციენტის შეფასებისა და პროცედურებისთვის (შეხსენება: იგულისხმება 24 საათის განმავლობაში 3 ცვლა, თითო - 8 საათიანი);
- 3 ნაკრები დამლაგებელი პერსონალისთვის თითოეულ პაციენტზე, დაშვებით, რომ პაციენტის ოთახი ლაგდება დღეში 3-ჯერ;
- 3 ნაკრები ექთნის დამხმარესთვის, დაშვებით, რომ ექთნის დამხმარე პალატაში/ბოქსში შედის ცვლის განმავლობაში ერთხელ (შეხსენება: იგულისხმება 24 საათის განმავლობაში 3 ცვლა, თითო - 8 საათიანი).

**ცხრილი №3. იდს ნაკრების მინიმალური რაოდენობა სხვადასხვა სცენარისათვის <sup>1</sup>**

	შესაძლო შემთხვევა <sup>2</sup>	დადასტურებული შემთხვევა - საშუალო სიმძიმის	დადასტურებული შემთხვევა - კრიტიკული, სარეანიმაციო <sup>3</sup>
ექთანი	1-2	6	6-12
ექიმი	1	2-3	3-6
დამლაგებელი	1	3	3
ექთნის დამხმარე და სხვა (კონსულტანტი)	0-2	3	3
<b>სულ</b>	<b>3-6</b>	<b>14-15</b>	<b>15-24</b>

1. სცენარები გათვლილია იმ შემთხვევისთვის, თუ 24 საათში არის სამი 8 საათიანი ცვლა. რაოდენობები შეიცვლება ცვლების ხანგრძლივობის მიხედვით.
2. ნაკრების რაოდენობა დამოკიდებული არ არის ცვლის ხანგრძლივობაზე. გათვლილია თითოეულ პაციენტზე.
3. რაოდენობა გათვლილია იზოლირებული COVID-19 პაციენტების რაოდენობაზე, როდესაც განყოფილებაში მოთავსებულია არა-COVID-19 პაციენტებიც.

---

<sup>i</sup> შესაბამისი იდს-ის გამოყენების გარდა, ყოველთვის უნდა ჩატარდეს ხელისა და რესპირატორული ჰიგიენა. გამოყენებული იდს უნდა მოთავსდეს ინფექციური ნარჩენების კონტეინერში. ხელის ჰიგიენა უნდა შესრულდეს ყოველთვის იდს-ის გამოყენებამდე და მისი მოხსნის შემდეგ;

<sup>ii</sup> შესაბამისი იდს-ის გამოყენების გარდა, ყოველთვის უნდა ჩატარდეს ხელისა და რესპირატორული ჰიგიენა. გამოყენებული იდს უნდა მოთავსდეს ინფექციური ნარჩენების კონტეინერში. ხელის ჰიგიენა უნდა შესრულდეს ყოველთვის იდს-ის გამოყენებამდე და მისი მოხსნის შემდეგ;

<sup>iii</sup> ვიზიტორთა რაოდენობა უნდა იყოს მკაცრად შეზღუდული. აუცილებლობის შემთხვევაში, COVID-19 პაციენტის ოთახში ვიზიტორის შესვლისას, უნდა მიეწოდოს მკაფიო ინსტრუქცია იდს-ის მოხმარების და ხელის ჰიგიენის შესრულების წესების შესახებ იდს-ის გამოყენებამდე და მოხსნის შემდეგ, რასაც ხელმძღვანელობს სამედიცინო პერსონალი.

<sup>iv</sup> ამ კატეგორიაში შედის დისტანციური თერმომეტრების და თერმული ვიზუალიზაციის კამერების გამოყენება და შეზღუდული დაკვირვება, გამოკითხვა მინიმუმ 1 მ.სივრცის მანძილზე.

### გამოყენებული ლიტერატურა

1. European Centre for Disease Prevention and Control (ECDC). Personal protective equipment (PPE) needs in healthcare settings for the care of patients with suspected or confirmed novel coronavirus (2019-nCov) 2020 [ February 2020]. Available from: <https://www.ecdc.europa.eu/sites/default/files/documents/novel-coronavirus-personal-protective-equipment-needs-healthcare-settings.pdf>
2. European Centre for Disease Prevention and Control (ECDC). Geographical distribution of 2019-nCov cases globally 2020 [02 February 2020]. Available from: <https://www.ecdc.europa.eu/en/geographical-distribution2019-ncov-cases>
3. European Centre for Disease Prevention and Control (ECDC). Risk assessment: Outbreak of acute respiratory syndrome associated with a novel coronavirus, China: first local transmission in the EU/EEA – third update 2020 [02 February 2020]. Available from: <https://www.ecdc.europa.eu/en/publications-data/risk-assessmentoutbreak-acute-respiratory-syndrome-associated-novel-1>
4. Rothe C, Schunk M, Sothmann P, Bretzel G, Froeschl G, Wallrauch C, et al. Transmission of 2019-nCoV Infection from an Asymptomatic Contact in Germany. New England Journal of Medicine. 2020.
5. World Health Organization (WHO). Infection prevention and control of epidemic-and pandemic prone acute respiratory infections in health care. WHO guidelines 2014 [17 January 2020]. Available from: [https://www.who.int/csr/bioriskreduction/infection\\_control/publication/en/](https://www.who.int/csr/bioriskreduction/infection_control/publication/en/)
6. European Centre for Disease Prevention and Control (ECDC). Safe use of personal protective equipment in the treatment of infectious diseases of high consequence Stockholm: ECDC; 2014. Available from: <https://www.ecdc.europa.eu/sites/default/files/media/en/publications/Publications/safe-use-of-ppe.pdf>
7. World Health Organization (WHO). Advice on the use of masks the community, during home care and in health care settings in the context of the novel coronavirus (2019-nCoV) outbreak 2020 [updated 28 January 2020]. Available from: [https://www.who.int/publications-detail/advice-on-the-use-of-masks-the-communityduring-home-care-and-in-health-care-settings-in-the-context-of-the-novel-coronavirus-\(2019-ncov\)-outbreak](https://www.who.int/publications-detail/advice-on-the-use-of-masks-the-communityduring-home-care-and-in-health-care-settings-in-the-context-of-the-novel-coronavirus-(2019-ncov)-outbreak).